



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 337

ქალაქი ქუთაისი      28      დეკემბერი      2016 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №116 განკარგულებაში შემდეგი ცვლილება:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №717 – №720 პუნქტები თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმიდან ამოღებული იქნეს №156 და №681 პუნქტები.

**მუხლი 2.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი

ბექა ყანჩელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და  
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატი- ზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
717	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩა №76-ის სამხრეთით	216.0	03.05.23.501	25.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
718	მიწის ნაკვეთი	გუგუნავას ქუჩა №13გ	1000.0	03.05.27.043	25.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
719	მიწის ნაკვეთი	ბუხაიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია	90.0	03.04.21.112	125.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
720	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევის №7-ის სამხრეთით/ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევის №7ა-ს სამხრეთით	320.0	03.05.23.502	25.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,  
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის  
შემსრულებელი

ბექა ყანჩელი